№ 1 ივნისი, 1913 წ. კამაგ. 12 ფასი 5 კაპ.

აყალ-მაყალი

სათხუნჯო ალმანახი

გამოვა დრო-გამოშვებით, სხვა-და-სხვა სათაურით. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება: ზრომის სტამბაში, ალმანახისათვის.



ცნობილი „კრიტიკოსი“ კიტა მეტის-მეტად ჰბერავს ახალგაზრდა „მგოსანს“.

„პოეტი“ და „კრიტიკოსი“.

— გამბერე ძმაო, გამბერე,
დროზედ გასივდეს მუცელი;
რაგინდ გამწიწო, ჩამიტევს
ჩვენი გაზეთის ფურცელი.

— ეჰ, დავიღალე ძმობილო,
ფუქსიც ფუჭდება წყეული!
მუხლებში ღონე მეკარგვის
და მიკანკალებს სხეული.

ბეშტია.

სიმღერა:

კოცნამ მშობა, კოცნამ მომცა
საკარჯიშოთ ოქროს ფეხი,
კრიტიკოსათ ჩვენი კიტა—
ცალმხრივია და უკმეხი.

ჩემი ქება ზეცას სტვება,
რას მიქვია რუსთაველი,
კოცნამ მშობა, კოცნა მომკლავს
ვანაცვალე მას ყოველი.

„მგოსანი“

11 579

ი მ ე დ ი

გაზაფხული,
მხიარული,
ჩვენ აღარ გვაქვს, აღარ გვართობს*),
დღეს ღრუბელი,
შავი, ბნელი—
შემორტყმია ქვეყნის მნათობს.

—

იადონი,
მოსაწონი—
ძველებურად ელარ ჰგალობს,
შაშვს მგალობელს,
სმენის მტკბობელს
ხმა წასვლია, იგიც წვალობს.

—

ბალი, ველი—
სულ ტიტველი
სჩანს, დაობლდა არე-მარე;
ყოველ დღესა
ისმის კვნესა,
ქვეყანაა მგლოვიარე...

—

მაგრამ, გული,
დადაგული,
კვლავ მოელის კეთილ-ძალას,
განთიადი,
მზე დიადი—
გააშუქებს მინდორ-ჭალას.

ბუჯგუტი

რათა და რისთვის?!

(ლექსი ბროზათ)

ორივ ერთ დღეს ვართ დაბადებულნი, თქვენ დიდ დარბაზში, მე წნელის ქოხში.—სასწავლებელში შენ გაგამგზავრეს, მე გამიძახეს სამწყესად ჯოგში. რათა და რისთვის?!

ჩვენ ხომ ორივეს ბუნებისაგან ერთნაირი გვაქვს ძალა—უფლება?!. შენ ფუფუნება ძილი, განცხრომა,—მე შრომა, ჯაფა და უძილობა!.. რათა და რისთვის?!

დიდხანსა კიდევ ვერ მივმხდარიყავ და ვატარებდი ამ ძძიმე უღელს, გამალებული ვატრიალებდი შენს სასარგებლოთ ჩემს მარჯვენა ხელს!.. რათა და რისთვის?!

მაგრამ ბურუსმა გადაიარა და სინათლემა დაჭკრა ტალკვესი, უსამართლობამ გამაფოლადა და მეც ვიხილე დღე უკეთესი. ზე კაცი აღვსდეგ და დავინახე, რომ მუქთა-ხორა განცხრომით ცხოვრობს; ჩემებრ მუშაკი, შრომისა შვილი კვლავ ქუჩა-ქუჩა დაძრწის მათხოვრობს!.. რათა და რისთვის?!

ჩვენ ხომ ორივეს ბუნებისაგან ერთნაირი გვაქვს ძალა—უფლება... ხედავ განთიადს, სხივ-მოელვარეს, იმას მოჰყვება თავისუფლება...

ყან

მ ო გ ო ნ ე ბ ა.

(ვუძღ. ეშმაკს)

ნეტავ ეხლა სადა ხართ
და რომელსა მხარესა,
რომელ ღმერთს უალერსებთ,
მტერსა თუ მოყვარესა?!
რათ დააშვრე კუდინი—
მრავალთ გამკურნებელი,
რათ დაუშვი მათრახი—
ზურგის ამცხუნებელი!
ნუ-თუ ფიქრობთ, ქვეყანას
განეკურნა ჭირია?
წვეთები და წყვიდინი
აღარავის სჭირია!..
ან და მტრების მუქარამ
ნუ თუ წელში გაგლეწა?
ჯოჯოხეთის მპყრობელო,
როგორ დაგაძაბუნა'..
ან და საქანქრეთის ღმერთს
ვახ თუ ელაქუცები,
მას შესწირე მთვარე, მზე
და მშრომელთა ქუჩები!..
რას გვყოფნის შენი სახე
ხან რომ გამოჩნდებიან,
შეხე თუ რა დრო დადგა—
მტებიც კი ცოცხლდებიან!
ძველი ბუმბერაზები,
როგორ იღარღნებიან;
ძველსა ნიშადურლებსა
ზურგი მოქავებიან.
დიდ ნიკო ნიკოლაძეს,
კვლავ გახსნია გუნება
და იონას მოშლილათ
გულზე ეხლახუნება.

---

*) ეს ლექსი ავტორმა ზამთარში გამოგვიგზავნა, მაგრამ ჩვენ დღეს, ცუდი ამინდებისა გამო ისევ ზამთარი გვგონია და ამიტომა ვბეჭდავთ.

ბეშტია.

დოქტორ ფილოსოფოსი—
იქ ფილიპე ჩვენია
კუდზე ფეხი დაუდგმან
პირი დაუფჩენია.
    გრიგოლსა თავის თემში
    ვეღარ მოუსვენია!
    თავს თვითვე იკონდახებს
    და აღარც კი ცხვენია!
აქეთ ჟურნალ-გაზეთნი
სოკოსავით მრავლდება,
შიგ დამცდარ ყაჭებივით
მწერლები იბანდება.
    სილოვანს აკაკისკენ
    პირი დაუღრენია,
    კოცნის პოეტებს განზე
    ყელი მოუღერია!..
დუმის ხულიგანები
როგორა ყაყანობენ,
შავ რაზმელთა არმია
თამამათ ფარფალობენ.
    „დამცველები“ ბღღვინავენ
    წელში გამაგრებულნი,
    ცხოვართა ურცხვათ ჰგლეჯენ
    მღდვლები გამგელებულნი.
მეორეს მხრით ისურსნის
ამირანი მძინარე,
აღმოსავლეთი კრთება
ვარდისფრათ მომღიმარე.
    სად არს ჯოჯოხეთელო,
    ამ დროს შენი ძალები?
    რათ დაგვტოვე ობლები,
    რათ წაგვტიკნე თვალები!
რაიქნა შენი პიტნა—
სცენებში დაქებული,
(ამბობენ, სულ სკის ბუკში
არის თავშედებული!)
    ან და ისტორიკოსი,
    კოღო, კენტი, კვინწარი;
    ან ბლიკვაძე ცნობილი
    მეზაზანდრე ვინც არი.
სად არის ირეთელი,
რას აკეთებს თაგუნა!
თუ რომ წინეთ ვარგოდენ
ღღეს რამ დააძაბუნა?!..

—

    ნეტავ მამცნო სადა ხართ
    და რომელსა მხარესა,
    ოდეს ბურუსი ჰფარავს
    ჩვენს მზესა და მთვარესა,
მაშინ გმართებს სიმარჯვე,
სიმართლის მოყვარესა...
ნუ დაგვტოვებ, ეშმაკო,
შენზედ მგლოვიარესა.

შხანკოლა.

გურული სცენა

(ბაშიდან)

ეხლანდელი დედა და შვილი.

— ფენია, ციცავ ფენია, ფერდი და გული ჩაგვარდა და გაგაბზიკინებია ფეხი ილორთა ძლიერმა ხატმა, რავა უდროოთ დმაბერე შენ შეჩვენებულო შენა! კი არ ყურობს, ციცავ მეიხედე, რო ბირბიხარ სად ქაჯთან მირბიხარ! ოი დედა-შვილობის გამჩენმა ძალამ ახვარხვალებულ კუბრიან ჯოჯოხეთ-ქვესკნელში ჩაგარბენია შე გატრაშალებულო შენა, სად მირბი ციცავ!..

— რა გინდა ოჯო, რა ამბავია რო გამოიწვი ენა და ამ ქვეყნის შარაზე ამომდაგე წყევლით!

— ოი შენი ხმაი არ გეიგონა არაფერმა ხორციელმა კაცმა, შე გასაფშიკებელო! რავა რა მინდა გოგოვ, ბაღანაი ბგონია შენი თავი? ვერ დეიხედავ სამიწე გულ ბოყვზე, რავა გაქვს ჩაძიძგინებული? რო ამოგსკვნია გული და მირბიხარ სად მირბიხარ!..

— სად მივრბივარ და ერთ მინუთში იქინეი ე მისი ჭირიმე ვაილამიკო ბიძიას მინდა მიუსწრო.

— უი დაგემსო ორვეს თვალები და წითელ მიწაში გნახეთ შენ და შენი ბიძეი დაგოზილი, სანამდი კასირშის არდგილის შოვას არ დაგიჟდენს ოთუზბირათ, მაქნობამდი არ დეეთხოვი შენ მიმას? ციცავ რეიზა არ გცხვენია ქვეყნის! ხომ ყურობ რას ამბობენ შენზე ხალხი! სადაური ბიძია არის შენი ის ვიღაცა ყაზახი?!

— ხო ხო ხო! რო გაქვს მაგი გველის მისაწიპწიპებელი ენა, რაც მოგადგება ყოლისფერს იტყვი!..

— გველიც მიგაწიპწიპდა და მგელიც შე გატიკნილო და ენა წასულო, რომელი ბიძია იყო იმისთანა წერილს იწერებოდა ქვეყანაში რო აფრიალებენ!.. გოგო, მე შენ გელაპარაკები დეეტიე შენს კანში, ნუ გეჩურჩულება იგი ყაზახი, იმის კაცობა ვინ თქვა, რაც კაცმა სახლი დაგირავა და შენ შეგრინჩხა-შეგაპამა და მისი ცოლიზა ერთი ამოსკვნილი არ მოუტანია!..

— იგი აფერი შენი საქმე არ არის, რომ აფერს გელაპარაკები ვერ დამეთხოვი?

— ოი წმინდა ბასილის შემწეობით ჯურღმულში გნახე თავდაღმა ჩაკიდული, რავა შენ გადამერიე! კი გადამახტი შვილო თავზე მარა „თხის გადამხტომი თიკანი მგელმა შეჭამა“-ო ნათქვამია და ისე დაგემართება შენც. იგი ანტო რომ დაგდევს უკან-უკან ფინია ლეკვსავით და ჭ-ძის გაბიძიება რომ უნდა, იგიც დედის გადამხტომია და

უყურე რა წეეკიდოს. ეიჩინეთ, ეიჩინეთ ბიძიები და ბოლოს რომ შეიქნებით გაბიზინებული და გაბიზლინებული, მაშინ კი მოჯლიგინდებით ჩემთან, მარა ჩემი ხელით ცოცხლითაი ჩაგგოზავთ მიწაში.

ია—ძე.

ოდეს გიგონებ

ოდეს გიგონებ ტურფავ მე შენა,
გლოვათ მექცევა კისკისი ლხენა;
გული მიშფოთავს, სული წრიალებს,
და შიგ გუზგუზით ცეცხლი ტრიალებს!
თვალთაგან მომდის მწვავე ცრემლები,
სიმწრისა ოფლში ვიხარშვი, ვდნები,
ძირსა ვეცემი სასო მიხდილი
და მიშხამდება სიცოცხლე ტკბილი...
თრთოლვა კანკალი, სულის კვეთება—
საბრალოს გულში მიორკეცდება!..

ნუ თუ არ გახსოვს რა იყავ წინათ?
ვის ეკუთვნოდი, სად იყავ ბინათ?
გამოიღვიძე, იგრძენ სადა ხარ,
გულს ნუ გაიტეხ, რომ პატარა ხარ;
იბრძოლე მედგრათ, ვიდრე გაქვს სული,
მრწამს გაიმარჯვებ, ტურფა ასული;
მას დაუბრუნდი, ვისთანაც იყავი
და შენს მტერებსაც ჩააცვი შავი.

მოვა

აყალ-მაყალი სათათბიროში ჩხეიძის წინააღმდეგ!

მესტვირული

სადარბაზოთ გეახელი
ქიათურის არე-მარეს,
იქა ვნახე **ძმა-ბიჭები**,
ბევრი რამე დამაბარეს!
სოფრომი ხომ ავათ არის
ბალნიცისკენ გაატარეს,
ჩარკვიანის ბენეფისი
საუცსოვოთ ჩაატარეს.

—

ჩვენი ბანკის დათუნიას
ჩვეულებათ გახდომია,
ლორივით ძირს იყურება,
არ ეშლება ნახტომია;
სცენის მოყვარეებსა ზილავს,
აგუნდავებს ვით ცომია!
საქართველოს ბურჯი არის
და არ მოსწონს სხვა ტომია.

—

Тыше, тыше! არ გაიგოს
მეზობელმა ტორიანმა,
ყველამ თავი მოუხარეთ
ბელატმა და ქოჩრიანმა!
დრამატურგთა ბურჯი არის,
პროტესტი მას არ იამა,
შორიდან მიულილინოთ
ოდელა და ჩარირამა.

—

დრო არის ახლა მივხედოთ,
ზდანოვიჩისა კიტასა,
კარგია მასაც შორიდან
ვეტყოდეთ ქალურ პიტასა,
სულ არ შეშვენის, რომ ამსებს
ექსპარტიორთა ჯიბესა,
საწყალი მუშა სულს ლაფავს
ფეხ-ქვეშ რათ აცლის კიბესა?!.

—

მუდამ ლექციებს კითხულობს,
„კრიტიკობს“, იჩენს ჭკუასა;
„მეგობრებს“ ისე გაჰბერავს—
დაუსხამს ტარაბუასა!
რიუმაჩებს — შოთას ადარებს,
მგოსანს ეძახის ყრუასა!..
ვიცი ბეშტიავ, მიარტყამ
შენი კონდახის ყუასა.

—

აწი მოვბრუნდეთ ქამანჩავ,
თბილისისკენ ვქნათ პირია,
ამ რეაქციის ხანაში
თუმცა სიფრთხილე გვქირია,
„სახალხოელებს“ მივმართოთ
ჩაუღიღინოთ სტვირია,
რომ სარეკლამოთ არ ვარგა
ვინც ყველას დასატირია!

—

რისთვის გახურდენ „გმირები“
რათ მოუმართავთ ხმლებია,
რომ შეასვენონ დრო არის
მამა-პაპათა ძვლებია!
რათ დაზმუიან აქა-იქ
ვით დამშეული მგლებია!
მათი ამგვარი ქამანდი
ვიცით, რომ არ ახლებია.

ჩოგანი.

დღენი ჩვენი ცხოვრების.

(რუსულიდან)

დღენი მიდიან დაუბრუნებლივ,
დღე, დღესა მისდევს თავის ვადაზე;
ცრემლები, ტანჯვა და მწუხარება
არ მიაქვს, სტოვებს ამ ქვეყანაზე.
მთელი დღე ფეხზე ტრიალობ, შრომობ
და მით იმედობ გულ-ანაძგერი;
ხარჯავ ღონეს, ოფლს... რაღაც გგონია,
რა გადახედავ—აღარაფერი!
სიცოცხლეც მიდის, მიდის ნელ-ნელა,
დაუბრუნებლივ და გული გვწყდება...
საღღაც შორს ლანდათ მოსჩანს ვარსკვლავი,
ხან გაანათებს, ხან ჩაბნელდება.

ვ. აბრამიძე.

გამოცანები:

(ფოთისათვის)

1

ბრძენის სახელს დაატარებს,
ტანად კია შესადარი.
დიდი ნიკო გაიმასქნეს
და მას დარჩა მთა და ბარი.
მარიამი არ გამიწყრეს,
ამბავია უტყუარი,
ჩუმ-ჩუმათე ფურჩულობენ,
ნეტავ თუა რამ ამგვარი.
...მაგრამ ხონმა გაგვაკვირვა,
ვით იასონ, გავიფხუკე,
თუ არ იყოს ეს სიმართლე,
რად გვესტუმრა ჩვენ მებუკე?

2

ეს რა ჩიტი მოფრენილა
საიდან და სადაური;
ამ ჩვენ ლავრენტს რაღას ერჩის,
რომ მოწველა ვითა ფური.
ვინც გააძღებს იმისია
მყეფავი და შინაური,
ამბებს ჩმახავს არ გაგონილს
მოუსრისოთ უნდა ყური.

3

პედაგოგი, თანაც ღლასნი,
დაგრეხილი და ახმახი,
დას საქურდლად დაატარებს,
მივაყოლოთ მას კონდახი.

ჭინჭარი.

პატარა ფელეტონი

მაისის დილა.

დღიური შრომით დაღლილს, დაქანცულს გძინავს პირ-აღმა, მოდუნებულ სხეულს ასვენებ, ძარღვებში წითელი ანკარა წყარო მიდუდუნებს და ნანას ხმაზე, მის პატარა ტალღებს მორთულ-მოკაზმული ნავით მიყავხარ, სადღაც შორს, შორს, მხოლოდ სიზმრათ წარმოდგენილ „სამოთხეში“—სწორედ ამ დროს ნეკტარით დამთვრალს გეღვიძება—ახელ თვალებს, მშვენიერია ეს დრო—**დილა**, მეტადრე მაისის, ნაზი, ნარნარი, მომხიბლავი სურნელოვანი—უცებ ხტები ამ ნავიდან, ირთვი-იკაზმი და გარბიხარ: ბაღებში დილა, მეგობრებთან დილა, თეატრებში დილა, ქუჩაში დილა, კავსაძესთან ლექცია-დილა: ეს ლექცია რაღაც ზედნადები დამატებაა?..

ეს გახლავს ქართული უკანასიტყვაობა თუ რას ნიშნავს გადაგვარება, გადამახინჯება, უცხოელების ჰანგზე ქართული ყელის ფაღარათობა. დიახ! საშინელებაა, საშინელება. ყველანი ეშაფოტზეა ჩამოსაკიდი და მერე რიი უნდა აღმოფხრა ეს განუკურ-

ნებელი სენი აი რითი: უნდა იკითხო ლექცია, აბა სახელად ლექცია, თორემ ისე უბრალო საუბარი, მას მოაყოლო ხალხური სიმღერები, კახურ რაჭულ-მეგრულ-გურული, მაგრამ რამდენათაც შეგიძლია— კახური დაათრო, რაჭული მშიერ მგლებივით აძუნძულო, მეგრული თხასავით აპეტელო და გურული ტურასავით აჩხავო. აი, ასეთ სასიამოვნო შეზავებულ ხმების შემდეგ შეხვიდე „აშენდა საქართველო“-ს ბაღში სასეირნოთ და რამდენიც შეგეძლოს 25 კ. იბრიგინე წინ და უკან, განზე და პირდაპირ, აღმა და დაღმა, იყიდე ხუთ-ხუთ შაურათ შაქარ-ტკბილა და იქნებ ათასში ერთი ბედიც გეწვიოს მოგზვდეს უზურში, თუ არა მიადგე პროექტორის კარებს და მეთვალყურე კარგათ მიგაყოლებს გვერდებში. დაღლილ-დაქანცული ღამის ორ საათზედ მიაშურებ საწოლს და ძილის შემდეგ ისევ „ლილა“ მეტადრე მაისის ნაზი, ნარნარი მომხიბლავი-სურნელოვანი.

ხლაფორთი.

დავალებული მარშრუტი.

—

ოზურგეთს ვიყავ, ბეშტია!
ალმასხანია გალავათ
და ამის დარდზე პლატონი
არ გაგხვდომია ჩვენ ავათ!..
რომელი უფრო თავობდა
ამას ვერ გეტყვი ძამია,
ერთი წავა და სხვა მოვა,
ეხლა ამგვარი წამია.
რუსული იცის წყალივით,
ქართული—ჩიქორთულია,
მაშ რისთვის ამოირჩიეს?
ესე ამბავი რთულია.

—

ჩოხატაურსაც ვესტუმრე,
მასპინძლათ დამხვდა თავადი,
პურით და ღვინით ამავსო
ღმერთმა იცოდეს თავამდი.
ბოლოს ეს მითხრა: „ბოშო, შენ?
ქე მომიცადე ზეგამდი,
უცხო სტუმარი მომივა
ოცდა ათი წლის ბელადი“.
დასტური მივეც და შემდეგ,
მეზობლად გადავიარე,
გონჯათ დამიხვდა ივანე
მოწყენა გავიზიარე.
ნუ იტყვი, ვიღაც უზნაურს
ხედავ, რა მოუნდომია?!
თავადის ქალი უბადრუკს
თავის საცოლოთ ნდომია.
ამის გამგონე ივანემ
გამოუცხადა ომია,
სასიძოც მომზადებულა,
ვნახოთ ვინ უფრო ლომია.

ქარტეხილი.

დეპეშები

(ალამკითხეს სააგენტოსაგან)

ლანჩხუთი. ხმა გავრცელდა, აქაურ დიპლომატიურ წრეებში ახალ მოვლენილნი მეცნიერ-წმინდანები: ვაჭარი ივანე ებრალიძე, პავლე ურუშაძე და მამასახლისი უ. კვეტიაშვილი— იმ ცხვრის წამყვანს, რომლითაც მათ გააწვიმეს, სამართალში მიცემას უპირებენო, რადგანაც ცხვრის მოხარშვაზე მეტის დუღილით წყალს გადაუარია და მათი აზრით იმან გამოიწვია ზედ-მეტი წვიმები და ნიაღვრები, რაც მაზარალებელია ქვეყნისთვისო.

ნეტარ არიან წმინდანები და მათი მორწმუნენი, რამეთუ კვალადაც იქმოდენ ასეთსა საქმეებსა ფილოსოფოსურსა.

იქიდანვე. ტყუილია ის ხმები, ვითომც აკაკის აქაურებისთვის საყვედურის წერილი მიეწეროს: რატომ მესხიშვილი მოატყუვეთ დაგპატიჟებო და არა მეო.

იქიდანვე. დგება საზოგადოება, რომლებს აზრადა აქვთ ორაგვის წყალზე გამვლელი მგზავრები დასტრახონ და მით იხსნან დამტროულების ოჯახობა საგრძნობელ ზარალისაგან.

(საგუთარი კორესპონდენტისაგან):

ჩოჩხათი. ჩიჩიან ტარანის ფასმა ძაან აიწია.

— ერთ მეწვრიმალე ვაჭარს პირ გაღებული სძინებია, ამ დროს ერთი ვირთხა ბაყაყი გამომძვრალა საცხაიდან და შით ხარხაში შპუნვა გაუდენია. მაგაზედ შეწრიალდა მთელი სოფელი ვაჭრებიანა, მაგრამ ვერაფერს გახდენ; ეხლა ავტომობილით მოელიან სუფსის გამოცდილ ექიმბაშებს აპერაციის საქნელათ.

ჯიხანჯირი. კულტურული დაწესებულება თან და თან იკიდემს ფეხს ჩვენში. აქაური მოხუცი და ახალგაზრდები ყანის თესვას ეთხოვიან და კარტკამათლის თამაშს კიდებენ ხელს, რადგან ცხოვრებაში დიდი საჭირო საქმეაო! შეხვდები ისეთებსაც, სადაც მოხუცი მამა თავის შვილებთან კარტის თა-

მაშის დროს ლანძღვა-გინებით სტყეპამენ ერთმანეთს! დაჩქარებით მოგვაშველეთ ჭინჭარის კონა.

სუფსა. ამ უკანასკნელ დროს ნამეტანი შემოგვწყრა სადგურის უფროსი!.. თუ მას ვიღამაც ჯოხი სტკეცა თავზედ, ნეტა რა ბრალი აქვს სუფსიელებს მაგაში?! დასთხოვოდა სხვის ლოგინზე ქალებთან ხუნტრუცს და ქე იქნებოდა; ასე იცის ფანჯრებში ძრომამ.

სიკო.

აუალ-მაუალი
დაბა-სოფლებში:

ქ. ბაქო. თათრის ქუჩა გადაიქცა
უსაქმურთა საკონსულო,
იძახიან: „დაგვისიცხდა,
ამოდი და ჩადი სულო!“
რა გაივლით დაინახავთ
ქუჩის პირად მოცლილ ვაჟებს,
დგანან ულვაშ აწკეპნილნი
და თვალებით ხეთქვენ კაჟებს!
ერთმა სთქვა: „ახ, ნემკა არის,
მეორემ სთქვა—რუსიაო,
მესამემა შეუტია—
სტყუი თვალებ კუსიაო!
მეოთხემ სთქვა: ვენაცვალე
რა ქალი, რა ბროლიაო,
მეხუთემ სთქვა—მაგისთანა
მე სამ ღამეს მყოლიაო“!
უსაქმურათ რომ გაგირბით—
ცელქი დილა, გაზაფხული,
სახლიდან რომ წამობრძანდით
ასე გქონდათ განზრახული?!
არ მგონია.. მაშ ცულლუტნო
მოდით ქკუას და გონებას,
სანამ შეგწევთ სიყმაწვილე
და შეძლებაც გაძლევთ ნებას...
სხვა—აგენტებს ვერ დაითვლით
იმდენია აქ, ბაქოში!
თათარი რას გაექცევა
თუ აცვია ფეხზე ქოში.
ალი-მირზა თუ შეიპყრეს
ალი-აღა თავში იცემს—
«ალლა ბურდა, საღოლ ყარდაშ“,
რასაც მოსთხოვს, იმას მისცემს.
ბრაზი მოსდით, უწინდულათ
ვერ იჭერენ—დემოკრატებს,
გზაში თითონ ქადაგებენ
და აბამენ ეკვანს კატებს!..
დანარჩენსა შემდეგ მოგწერთ,
გამარჯობა „ალმანახო“!
ვიოხუნჯოთ—მოწყენილი
ავტორები არ მანახო!..

ვაშა-ბაქურა.

ქუთაისი. (მიბაძვა).

მშვენიერო ქუთაისო,
სალხინო და სამაისო,
სულით გულით დაცემულხარ!
ვინ რა გიყო სამაგისო!..
ბლომათა გყავს ხანჯლოსანი,
მტკეპნავი მაგ ბულვარდისო
ფეხის ტვინსა ავარჯიშებ,
თავში იყრი წვრილ სადგისსო.
თუ რომ ვინმემ პირში გითხრა,
ფეხს გაიდგამ ვითა ჯორი!
ჯაშუშობით სახელს ითქვამ,
დაიბუდე სახლში ქორი!
გიორგისა გეფიცები
არას არგებს ვაჟკაცს ჭორი.

მგზავრი.

ჯურუყვეთი. გლეხები ამბობს: სტარშინა
ქკუიდან გაექანაო,
მაგრამ კი ვინმე გაბედავს,
რომ უაქიმოს განაო!..
რომელ სოფლისა მამამ ქნა
ზარალი ამოდენაო!
სამას ორმოცი გლეხები
ყანიდან გადმოდენაო!..
მუშები არ დააყენა
ვისაცა მოჰკრა თვალიო,
სახნისებიცა წაართვა
ორას სამოცი ცალიო!..
იძახის: „გზები აკეთეთ,
ყანებს აღაღეთ ხელიო,
თუ რომ არ გინდათ მათრახით
გაგათრევიოთ წელიო“.
ვისაც გებრალვის სოფელი
თუ რაშეს მოგვეშველითო,
თორემ ამ გვარი მამიდგან
კიდევ ვარესსა ველითო.

ობოლი.

1913

ლანსხუთი. (ზოგიერთ ქალებს).

დრო-ჟამი გამოიცვალა,
გადაირიენ ქალები!
ხელ-საქმე ეჯავრებიან,
მოსწონთ თამაში, ბალები!..
ათასნაირსა მოდასა
მისდევენ უსაქმურები;
ჭორებით, ლაზღანდარობით
გამოგვიჭედეს ყურები!..
ცოლების „კეკლუცობითა"
ქმრებსა დაედვათ ვალები,
ბარიშნებისა „ქცევითაც"
ბევრია განაწვალები...
არშიყობით კი ვერ ძღება
მაგათი ხარბი თვალები!..
ცოტა ქინქარი უცხუნოს,
ბეშტიას ვენაცვალები.

შავ-თვალა გოგონა

საჭორიკანო ამბავი.

,,სახალხო გაზეთის" მკითხველებმა იციან, რომ დეპუტატ გელოვანს მრავალი თხოვნები მისვლია თურმე დაბა-სოფლებიდან. ამ თხოვნებისთვის გელოვანს ყურადღება მიუქცევია და დეპეშა გამოუგზავნია იმ სამეგრელოს 230 კაცისათვის (რომლებიც შესჩიოდენ მას უგზოობას და სთხოვდენ დახმარებას). დეპეშა ასე იწყება: ,,თქვე დალოცვილებო, მე თქვენი მამასახლისი ხომ არა ვარ, რომ გზები გიკეთოთ?!. დამაცადეთ ცოტა, საქართველოსათვის ავტონომიას რომ ჩამოვიტან მაშინ გზებიც გექნებათ და ხიდებიცაო".

ჭორიკანა

წერილები რედაქციას.

ბ-ნო გამომცემელო, ალმანახის საალდგომო ნომერში მოთავსებული იყო წერილი პატარა ონიდან ,,საკვირაოსი", რომელიც სიყალბეთ მიმაჩნია და ვიწვევ მედიატორეში ,,საკვირაოს". ჩემის მხრით ვასახელებ მედიატორეთ რუმენ ჭოხონელიძეს და ვლადიმერ მასხარაშვილს. საქმე უნდა გაირჩეს პატარა-ონში. დაასახელოს საკვირაომ შემდეგ ნომეოში თავისი მედიატორენი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვუწოდებთ ცილის მწამებელს.

პატივისცემით ვლადიმერ თუთბერიძე

ვაცხადებთ, რომ ,,საკვირაოს" წერილები დაიბეჭდა აპრილში, ის კი მივიღეთ თებერვალში და შიგ მოთავსებული ცნობები შეეხება იმ მასწავლებლებს რომლებიც იმ ხანებში იმყოფებოდენ ზემოხსენებულ სასწავლებლებში. ჩვენ კი სხვა და სხვა მიზეზის გამო ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა.

ალმანახის გამომცემელი.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დამიხსნათ და გამოაცხადოთ რომ თქვენი ალმანახის კორესპონდენტი ,,კრიჭინა" მე არა ვარ.

პატივისცემით მარო სალუქვაძე.

ვაცხადებთ, რომ მარო სალუქვაძე ,,კრიჭინა" არ არის; მას სრულებით არ ვიცნობთ ჩვენ.

ალმან. გამომცემელი.



სიტყვის თავისუფლების ახალი კანონ-პროექტი.

„ჩაილური"

მივიღეთ ნამდვილი თავ-ანკარი კახური ღვინოები. ფასები: ბოთლი 15 კაპეიკიდან 1 მანეთამდე. მისამართი: შუა-ბაზარი, საკუთარი სახლი № 74.

პატივისცემით **მ. ე. დავლაშერიძე.**

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

გ. ზაზიაშვილი

იღებს ყოველ გვარ სამხატვრო საქმეს, როგორც ფერად წამლებით ისე სადათ. მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 43, სახლი დვალიშვილისა.

ვინც გამოგზავნის სამი აბაზის ფოსტის მარკებს, გაეგზავნება მთელი გას-ული წლის **ალმანახები**, სულ **22** ნომერია.

,,ალმანახში" განცხადებების დაბეჭდვა ღირს სტრიქონი ორი შაური.

ელექტრონის სტამბა შრომა, მუხრანის ქ. 12. **გამომცემელი ვ. გეგეჭკორი**